



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმი (საბაკალავრო პროგრამა)

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2023 წლის 1 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 20 ივნისი

თბილისი, 2023 წელი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	18
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	27
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	34

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბსუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245 428158
დაწესებულების ტიპი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი რონ ჰუანგი პლიმუთის უნივერსიტეტი გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ეკა ლეკაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ნინო ჯოჯუა შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვაჟა კელიხაშვილი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ტურიზმი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Tourism
უმაღლესი განათლების საფეხური	I
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი (ECTS)
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2011 წლის 25 ნოემბერი გადაწყვეტილება N 352
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	-

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მითითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

- ხელახალი აკრედიტაციისათვის წარმოდგენილია პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატი ტურიზმის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ის ძირითადად ქართულ ენაზეა მიწოდებული, 19 კურსი უკვე ჩატარდა ინგლისურ ენაზე, როგორც ეს ნაჩვენებია ინგლისური კურსის სილაბუსებში.
- რეაკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო თვითშეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტებს, ასევე დამადასტურებელ მტკიცებულებებსა და დოკუმენტაციას.
- დოკუმენტების პირველადი ანალიზის საფუძველზე, ხელახალი აკრედიტაციის ჯგუფმა ჩაატარა ონლაინ შეხვედრა 2023 წლის 29 მაისს პირველადი დაკვირვებების გასაზიარებლად და დააგენერირა ფოკუსირებული ინტერვიუები ტურიზმის პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემდგომი შესაფასების მიზნით.

▪ ადგილზე ვიზიტის მიმოხილვა

- აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტი გაიმართა 2023 წლის 1 ივნისს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- აკრედიტაციის ჯგუფის სამ წევრს (ეკა ლეკაშვილი, ნინო ჯოჯუა, ვაჟა კელიხაშვილი) ახლდა ბატონი დავით ბურჯანაძე (ცენტრის წარმომადგენელი). დოქტორი რონგ ჰუანგი (პანელის თავმჯდომარე) დაესწრო განხილვის ყველა აქტივობას (გარდა დაწესებულებაში დაკვირვებისა) უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული სპეციალური Zoom-ის ბმულის მეშვეობით.
- ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა რექტორს, პრორექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, დეკანს, და ასევე ცალკე შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფი ასევე შეხვდა აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტმა წარმოადგინა უნივერსიტეტის IT სისტემის პრეზენტაცია, რომელშიც ნაჩვენებია იყო სტუდენტური პორტალი სხვადასხვა ფუნქციებით სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის, დამსაქმებლებისთვის და აკადემიკოსებისთვის. ამას მოჰყვა დაწესებულების დათვალიერება. კერძოდ, ვიზიტი ბიბლიოთეკაში, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროგრამისთვის ძირითადი სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა.
- დამატებითი შეხვედრა არ ყოფილა, რადგან ჯგუფისათვის დამაკმაყოფილებელი იყო პროგრამით მოწოდებული მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შეფასება მთლიანობაში იყო დადებითი. იგი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს: 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა, 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.
- რაც შეეხება 1-ელ სტანდარტს: "საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა", ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ ტურიზმის პროგრამა არსებითად შეესაბამება მოთხოვნებს. თუმცა გაუმჯობესებას საჭიროებს შემდეგი

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ქვესტანდარტები: 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; და 1.5 აკადემიური სტრუქტურა/კურსი.

▪ რეკომენდაციები

- პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კურსების ლოგიკური დაგეგმვა და სავალდებულო გახდეს სტუდენტებისთვის თვისებრივი კვლევის მეთოდის სწავლება, ვიდრე ისინი საბაკალავრო ნაშრომზე დაიწყებენ მუშაობას. (სტანდარტი 1.4).
- ტურიზმის პროგრამაზე განხორციელდეს შესაბამისი კურსის სილაბუსების სისტემატიური განხილვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს განახლებული ლიტერატურის წყაროები ძირითად და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში. (სტანდარტი 1.5).
- დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ან/და მათი დანართები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას. (სტანდარტი 2).

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის 1, 2, და 6 სწავლის შედეგების განმარტებისთვის შესაფერისი ზმნები უნდა იქნას გამოყენებული, რათა ისინი განვითარდეს მე-6 დონის სტანდარტის შესაბამისად. გარდა ამისა, ყველა შედეგი უნდა განთავსდეს ლოგიკური თანმიმდევრობით, რათა ასახოს პროგრამის ცოდნის, კომპეტენციებისა და უნარების მოთხოვნები (სტანდარტი 1.2)
- პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, რათა თითოეული სწავლის შედეგი იყოს მოკლედ და კომპაქტურად ახსნილი, ბევრი მოთხოვნის გარეშე. (სტანდარტი 1.2).
- გადაიხედოს ტურიზმის პროგრამის ყველა სილაბუსი ინგლისურ ენაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყველა სწავლის შედეგი კლასიფიცირებულია როგორც „ცოდნა და გაგება“, „უნარები და კომპეტენციები“, და „პასუხისმგებლობა/ავტონომია“, როგორც ეს კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოშია მითითებული. (სტანდარტი 1.5)
- სრული ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ უნდა განთავსდეს ბსუ-ის ვებგვერდზე და პროგრამების კატალოგში/ბროშურაში. (სტანდარტი 2.1).
- ტურიზმის პროგრამის სტუდენტებმა უნდა გაიარონ ტრენინგი, რათა გამოიყენონ შესაბამისი მითითების სტილი საბაკალავრო ნაშრომების ბიბლიოგრაფიის ნაწილში წყაროების ციტირებისათვის. (სტანდარტი 2.2).
- ტურიზმის პროგრამამ უნდა გამოიყენოს პროაქტიული მიდგომები, რათა გაზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში და ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობას სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში. (სტანდარტი 3.1).
- ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ყველა პერსონალის CV განახლდეს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. (სტანდარტი 4.1).
- ტურიზმის პროგრამის გუნდს შეუძლია უკეთ დაადასტუროს და მართოს უცხოელი ექსპერტების მიერ შეფასების პროცესი უფრო სისტემატიურად, რათა უზრუნველყოს ტურიზმის პროგრამის უწყვეტი განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. (სტანდარტი 5.2).

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ტურიზმის პროგრამა შესანიშნავად უწყობს ხელს ინტერნაციონალიზაციას სწავლებასა და სწავლაში, რაც გულისხმობს სხვადასხვა საგნების ინგლისურად მიწოდებას, საერთაშორისო

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

თანამშრომლობას უცხოურ ბიზნესთან და ინსტიტუტებთან, სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერას ფართო სპექტრით საერთაშორისო კვლევებში და საწარმოო გამოცდილების გაზიარებას. (სტანდარტი 1.1).

- მჭიდრო თანამშრომლობა მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განვითარების მიზნით და სტუდენტების კარიერული განვითარებისთვის ხელშეწყობა და ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორც საუკეთესო პრაქტიკა. (სტანდარტი 1.2).

- **ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ**

ბსუ-მ შეაფასა თავისი საქმიანობა ხუთი სტანდარტის მიხედვით. მან წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულება, რათა შეფასებისას დაესაბუთებინა თავისი არგუმენტები. მტკიცებულება ორგანიზებულია პროფესიონალურად. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი დოკუმენტები წარმოდგენილი იყო ინგლისურ ენაზე, დამადასტურებელი მტკიცებულებების უმეტესობა ქართულ ენაზეა. შესაბამისად, თავმჯდომარეს უჭირს ყველა წარმოდგენილი მტკიცებულების განხილვა. თუმცა, რადგან ექსპერტთა ჯგუფს ჰყავს სამი ქართულად მოსაუბრე წევრი, ჩვენ გუნდურად შევძელით ყველა მტკიცებულების გაგება. ინტერვიუს დროს არ შეგვხვედრია რაიმე პრობლემა მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, რადგან სხვადასხვა შეხვედრის მონაწილეებს მოუწოდებდნენ პასუხები გაეცათ ინგლისურად. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმანი დაგვეხმარა ზოგიერთი პასუხის თარგმნაში.

- **ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევების ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბოლო 10 წლის განმავლობაში ტურიზმის პროგრამა განვითარდა და ადაპტირდა უმაღლეს სასწავლებლის ცვალებად გარემოსთან, ასევე მოერგო ახალ წესებსა და რეგულაციებს ეროვნულ დონეზე. სფეროს პრაქტიკოსებთან და დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით ტურიზმის პროგრამამ უკეთესად გააცნობიერა ბაზრის მოთხოვნა. შესაბამისად, ტურიზმის პროგრამას აქვს მეტი პრაქტიკული კურსები, რაც მის სტუდენტებს ხდის უფრო კონკურენტუნარიანებს ბაზარზე.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კომპლექტს, რომელსაც პროგრამა მიზნად ისახავს რომ განავითაროს სტუდენტებში. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი კვლევის მეთოდების ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი აკადემიური და თანამედროვე სპეციალისტები, რომლებიც ორიენტირებული არიან საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე, არიან კვალიფიცირებული, კონკურენტუნარიანი, ადვილად ადაპტირდებიან ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ეროვნული და ზოგადად კაცობრიობის ლიბერალური ღირებულებებით.

პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლითაც აღჭურვილი იქნება ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული. მიზნები ლოგიკურად დაკავშირებულია სასწავლო შინაარსთან და შედეგებთან. ისინი შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს და დეტალური სფეროს შინაარსს „1015“ მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება. მიზნებში ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციებისთვის არის მომზადებული ამ პროგრამის კურსდამთავრებული, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ცოდნით ტურიზმის ბიზნესის მართვის სფეროში, და რომელსაც შეუძლია კრიტიკულად გაანალიზოს დარგის თეორიები და პრინციპები. გარდა ამისა, პროგრამა ამზადებს მაღალკვალიფიციურ და კონკურენტუნარიან სპეციალისტს, რომელიც აღჭურვილია ტურისტული ბიზნესის მენეჯმენტისთვის საჭირო პრაქტიკული უნარებით, აკადემიური კეთილსინდისიერებით, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გრძნობით, ეროვნული და ზოგადი ღირებულებებით. მას ექნება მკაფიოდ ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია ტურიზმის სფეროში რთულ და/ან არაპროგნოზირებად გარემოში, იგი პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე; დამოუკიდებლად გეგმავს, აყალიბებს და ანალიზებს, შეუძლია კომუნიკაცია დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; და ითვალისწინებს შემდგომი სწავლის საჭიროებებს.

ტურიზმის პროგრამა შემუშავებულია დროის, დარგის, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების, სახელმწიფო მიდგომის, რეგიონის თავისებურებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. საჭირო ცოდნითა და უნარებით კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, აჭარის რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში, ტურისტული პროდუქტებისა და დაცული ტერიტორიების განვითარების სააგენტოებში, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში. შეუძლია დასაქმდეს ისეთ სფეროებში, როგორცაა ტურიზმის მენეჯმენტი, განსახლება,

კვება, ტრანსპორტი, დასვენებისა და გართობის სექტორები, შეხვედრები, ფესტივალები, სპეციალური ღონისძიებები და ტურისტული დანიშნულების მართვის ორგანიზაციები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ასოციაციები, გაერთიანებები, საზოგადოებები და სხვა.

ბსუ– ს აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს პროფესორების, მკვლევარების და სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში. პროფესორებისა და მასწავლებლების CV-ების მიმოხილვა მიუთითებს, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, პროფესიული განვითარების ტრენინგებში საზღვარგარეთ და აქვეყნებს ნაშრომებს საერთაშორისო ჟურნალებში. მათი საერთაშორისო საქმიანობა ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამა ახორციელებს აქტივობების ფართო სპექტრს ინტერნაციონალიზაციის მისიის განსახორციელებლად. რასაც ადასტურებს თვითშეფასების დოკუმენტის ანალიზი, ინტერვიუები რექტორთან, პრორექტორთან და ფაკულტეტის დეკანთან, ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, მოქმედ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ტურიზმის პროგრამა შესანიშნავად უწყობს ხელს ინტერნაციონალიზაციას სწავლებასა და სწავლაში, რაც გულისხმობს სხვადასხვა საგნების ინგლისურად მიწოდებას, საერთაშორისო თანამშრომლობას უცხოურ ბიზნესთან და ინსტიტუტებთან, სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერას ფართო სპექტრით საერთაშორისო კვლევებში და საწარმოო გამოცდილების გაზიარებას.

პროგრამის მოკლე აღწერა და პროგრამის დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (ე.ი. www.bsu.edu.ge). ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დამხმარე დოკუმენტები;
 - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა
 - უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
 - საგანმანათლებლო პროგრამა
 - შრომისა და განათლების ბაზრის კვლევის ანალიზი
 - ბსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს No06-01/95 დადგენილება „ბსუ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“.
 - სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში
 - პროფესორ-მასწავლებლთა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში
 - პროფესორებისა და მასწავლებლების CV
 - ვებ-გვერდი www.eta.edu.ge
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს თვითშეფასების სამუშაო ჯგუფთან და ფაკულტეტის დეკანთან.

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
------------	------------------------------	---------------------------------------	---	---------------------------

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო სფეროს სპეციფიკასთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

ტურიზმის პროგრამას აქვს შვიდი სწავლის შედეგი, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ:

- შედეგი 1: **აღწერს** ტურისტული ინდუსტრიის ძირითად და დამხმარე სექტორებს, ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებულ სფეროებს, ტურიზმის ორგანიზაციის თეორიებს, კონცეფციებსა და ძირითად პრინციპებს, მის გარემოს და მენეჯმენტს. **ესმის** მმართველობის დონეები და მათი ფუნქციური მახასიათებლები. **მსჯელობს** ტურიზმის ორგანიზაციის სფეროში არსებულ პრობლემებზე, უახლეს მიგნებებსა და პრაქტიკულ საკითხებზე;
- შედეგი 2: განსაზღვრავს მომხმარებელთა მოთხოვნას/მოლოდინებს ტურისტული ბიზნესის სფეროში, ანალიზებს ტურიზმის განვითარების გლობალურ და რეგიონულ ასპექტებს.
- შედეგი 3: შეუძლია მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, ტურისტული ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა, ტურიზმთან დაკავშირებული კვლევითი თუ პრაქტიკული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
- შედეგი 4: **ქმნის და ავითარებს** ტურისტულ პროდუქტს. **ამყარებს** კომუნიკაციას თანამშრომლებთან, მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. **განსაზღვრავს** სამიზნე ბაზარს, ახორციელებს ბაზრის სეგმენტაციას, აფასებს ეფექტურობას.
- შედეგი 5: **მსჯელობს** ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესებზე, ინოვაციებსა და გამოწვევებზე. **აყალიბებს** მოსაზრებებს და ახორციელებს ზეპირ ან/და წერილობით კომუნიკაციას ქართულ ან/და უცხო ენაზე;
- შედეგი 6: **ესმის** პროფესიული, სამართლებრივი, ეთიკური, კულტურათაშორისი პასუხისმგებლობა ტურისტულ ორგანიზაციასა და საზოგადოებაში. **იცავს** მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს.
- შედეგი 7: **გეგმავს**, ორგანიზებას უკეთებს კარიერული განვითარების, ცოდნის ამაღლებისა და საკუთარი სასწავლო პროცესის თვითმართვისთვის საჭირო ნაბიჯებს, **ზრუნავს** საკუთარ და სხვების პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე.

ზემოაღნიშნული სწავლის შედეგების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ბევრი სწავლის შედეგი მოიცავს მრავალსიმომცველ მოთხოვნას (ზოგი დაკავშირებულია სფეროსთან, მაგრამ ზოგი არა). მაგალითად, შედეგი 1, შედეგი 2, შედეგი 5, შედეგი 6 და შედეგი 7 ყველა მოიცავს მრავალსიმომცველ მოთხოვნას. წარდგენილ მტკიცებულებებს შორის, ერთ-ერთი უკუკავშირი, რომელიც მოწოდებულია ბოლო გარე შეფასების დოკუმენტში, არის ასევე სწავლის შედეგების გამოიჯვნა. მრავალსიმომცველმა მოთხოვნამ ერთ სწავლის შედეგში შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა და პოტენციური რისკი, რომ გამოგრჩეთ რამე მნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ვარაუდობს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული სწავლის შედეგის მოკლედ და მკაფიოდ გადმოცემა მრავალსიმომცველი მოთხოვნის გარეშე.

პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგების რუკა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის მიზნებთან შესაბამისობაში. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის პროგრამის სწავლის შედეგები არ არის კატეგორიზებული, როგორც "ცოდნა და გაცნობიერება", "უნარები და კომპეტენციები" და "პასუხისმგებლობა/ავტონომია", როგორც ეს მითითებულია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში, ისინი ერთობლივად მოიცავს დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიას. კურიკულუმის რუკა ასახავს, თუ როგორ არის შემუშავებული სხვადასხვა კურსი, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტებს პროგრამის სხვადასხვა სწავლის შედეგის მიღწევაში. თუმცა, სწავლის შვიდი შედეგის შედარება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მეექვსე საფეხურის კვალიფიკაციასთან ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შედეგები 1 და 6 ხაზს უსვამს ცოდნისა და გაცნობიერების მოთხოვნებს, შესაბამისი თეორიების კრიტიკული გაგება და პრინციპები ცალსახად არ არის განხილული. გარდა ამისა, სწავლის შედეგების 1, 2 და 6 შედეგში გამოყენებული ზმნები (მაგ., აღწერა, გაგება, ამოცნობა) ჩვეულებრივ მიუთითებს მე-4 და მე-5 დონის სტანდარტებზე. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ შესაფერისი ზმნები იქნას გამოყენებული პროგრამის 1, 2 და 6 სწავლის შედეგების ინგლისური ვერსიის ასახსნელად, რათა ისინი განვითარდეს მე-6 დონის სტანდარტის შესაბამისად. გარდა ამისა, ყველა შედეგი უნდა იყოს აწყობილი ლოგიკური თანმიმდევრობით, რათა ასახავდეს პროგრამის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მოთხოვნებს.

პროგრამის განახლების პროცესში დაცული იყო ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესები და შესაბამისი პროცედურები. დამსაქმებლების მონაწილეობა შეფასების პროცესში განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. გარდა სწავლის შედეგების შეფასების ანალიზისა, გაზომვადი და რეალისტური შედეგების უზრუნველსაყოფად, სამუშაო ჯგუფმა, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ასევე მოიძია ანალოგიები საქართველოს სხვა უნივერსიტეტებსა და ევროპის ოთხ სხვა უნივერსიტეტში და განსაზღვრა რეკომენდაციების სია და გაუზიარა განმახორციელებელ პერსონალს. დამსაქმებლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გასაუბრება ადასტურებს, რომ პროგრამების შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. გარდა ამისა, სწავლის შედეგები აკმაყოფილებს კურსდამთავრებულთა მომავალი პროფესიული დასაქმების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება ნათლად ადასტურებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს, შესანიშნავი საუნივერსიტეტო პორტალის სისტემის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება და საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევს პროგრამის მჭიდრო თანამშრომლობას მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და სტუდენტების კარიერული განვითარების სასარგებლოდ და ბაზრის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით, რომელიც ხორციელდება შესანიშნავი საინფორმაციო სისტემის საშუალებით. როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ, რომ სწავლის შედეგები მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დამხმარე დოკუმენტები;
 - საგანმანათლებლო პროგრამა
 - პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგების რუკა
 - კურიკულუმის რუკა
 - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №54 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი“.
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- პროგრამის 1, 2, და 6 სწავლის შედეგების განმარტებისთვის შესაფერისი ზმნები უნდა იქნას გამოყენებული, რათა ისინი განვითარდეს მე-6 დონის სტანდარტის შესაბამისად. გარდა ამისა, ყველა შედეგი უნდა განთავსდეს ლოგიკური თანმიმდევრობით, რათა ასახოს პროგრამის ცოდნის, კომპეტენციებისა და უნარების მოთხოვნები.
- პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, რათა თითოეული სწავლის შედეგი იყოს მოკლედ და კომპაქტურად ახსნილი ბევრი მოთხოვნის გარეშე.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის No06-01/54 დადგენილებით და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შემუშავების წესით განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. სწავლის შედეგების, სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგების შეფასება ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს პროგრამის შესრულების შესახებ, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით.

პროგრამას დანართის სახით თან ახლავს კურიკულუმის რუკა (დანართი 14), რომელშიც ასახულია სასწავლო კურსების რანჟირებული წვლილი სწავლის შედეგების მიღწევაში (1 – გაცნობა 2– გაღრმავება 3 – გაძლიერება). სასწავლო გეგმის რუკის მიხედვით, ყველა კურსი ხელს უწყობს ერთი ან რამდენიმე სასწავლო შედეგის შესაბამის დონეზე მიღწევას. და ამავდროულად, პროგრამის ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა მე– 3 (გაძლიერება) დონეზე ერთი ან მეტი სასწავლო კურსით. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით (პუნქტები 15 და 16).

დაწესებულების ინფორმაციით, ყველა კურსი შეფასდება პირდაპირი შეფასების მეთოდით. როგორც ნაჩვენებია დანართ 15-ში. განსაზღვრულია სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდი, მიზნობრივი ინდიკატორები, მონაცემთა შეგროვების დრო და პასუხისმგებელი პირი. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოყენებული იქნება ელექტრონული პორტალი (<http://spm.bsu.edu.ge/> <https://portal.bsu.edu.ge/>).

არაპირდაპირი შეფასებისას გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

- სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვები ან ინტერვიუები - პროგრამით კმაყოფილება;
- დამსაქმებელთა გამოკითხვები ან ინტერვიუები - დამსაქმებლების კმაყოფილების დონის შეფასება კურსდამთავრებულებითა და სტუდენტებით;
- გარე შეფასება
- დასაქმებისა და უწყვეტი განათლების ინდიკატორები
- პროგრამის დასრულების ან/და სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ინდიკატორები
- მახასიათებლების შედარება სხვა (თანაბარ) უნივერსიტეტებთან
- ვაკანსიები, პოზიციები
- აკადემიური მოსწრების ინდიკატორები მომდევნო დონეზე
- კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლისა და სხვა მიღწევების ინდიკატორები.

სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრავს შედეგების ანალიზის შემდეგ განხორციელებულ შესაძლო ქმედებებს:

- ✓ ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში;
- ✓ კურსის წინაპირობების შეცვლა;
- ✓ სასწავლო კურსების თანმიმდევრობის შეცვლა;
- ✓ სასწავლო კურსი(ები), დამატება ან პროგრამიდან ამოღება;
- ✓ ცვლილებები სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში.

წარმოდგენილია 2019-2022 წლების პროგრამის შეფასების დოკუმენტაცია. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა კვლევების შედეგები. მაგალითად: ზოგიერთ სასწავლო კურსში შეიცვალა საათების თანაფარდობა (საქართველოს ისტორია, ფინანსები და ანგარიშგება ტურიზმის სფეროში), გარკვეული ცვლილებები შევიდა კრედიტებთან დაკავშირებით, მაგ. პროგრამაში ტურისტული პოლიტიკა წარმოდგენილია 4 კრედიტის ნაცვლად 5 კრედიტით. განხორციელდა სემესტრული ცვლილებები - ინფორმაციული ტექნოლოგიები საქართველოს ბიზნესსა და ტურისტულ რესურსებში მეოთხე სემესტრის ნაცვლად მესამე სემესტრში გადავიდა. გაიზარდა პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი და 5 კრედიტის ნაცვლად 10 კრედიტი მიენიჭა, რომელიც მეშვიდე და მერვე სემესტრებში გადანაწილდა, შესაბამისი მისაღები წინაპირობები განისაზღვრა სასწავლო კურსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და მიზნები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი
- პერსონალის კვლევები
- სტუდენტთა გამოკითხვა
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ოქმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები.
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან,

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისია მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

პროგრამამ ბოლოს აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს. ბსუ-ს ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის შინაარსი ასახულია პროგრამის დოკუმენტაციაში. როგორც თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნული, პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში გამოყენებული ზოგადი გაიდლაინებისა და რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის დოკუმენტაცია იძლევა ადეკვატურ ინფორმაციას პროგრამის შინაარსის, მეთოდების, მიზნებისა და სტრუქტურის შესახებ. ის ასევე აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სწავლის შედეგებისა და პროგრამისთვის მინიჭებული კრედიტების შესახებ. პროგრამის კრედიტების მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსები - 160 კრედიტი (საგანმანათლებლო კურსები ძირითადი სასწავლო მიმართულებით - 145 კრედიტი), სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი. არჩევითი კურსები (სულ 80 კრედიტი) საშუალებას აძლევს სტუდენტს განავითაროს მისი პირადი პრეფერენციები და შემდგომში უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას.

სასწავლო გეგმის მიმოხილვა მიუთითებს, რომ ძირითადი კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამის კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს, უმაღლესი

განათლების პირველ საფეხურს, როგორც ეს მითითებულია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს.

პროგრამის მიმოხილვა მიუთითებს, რომ პროგრამა ითვალისწინებს კრედიტების გადაცემის ევროპული სისტემის მოთხოვნებს, მოქმედ კანონმდებლობას, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ბსუ-ში შემუშავებული პროგრამების დაგეგმვის, დამტკიცებისა და განვითარების წესებს. აკრედიტებული პროგრამის განხორციელებისას სამუშაო ჯგუფმა გაიარა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან სასწავლო პროგრამის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფმა ასევე შეადარა ბსუ-ს ტურიზმის პროგრამა საქართველოსა და ევროპის ოთხ სხვა უნივერსიტეტში არსებულ მსგავს პროგრამებს. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და შედარების აქტივობების გაანალიზების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა ცვლილებები შეიტანა პროგრამაში. ასეთი ცვლილებები განახლებულ პროგრამას უფრო მეტად პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებულად აქცევს, დაზუსტდა შეფასების კრიტერიუმები და სწავლა/სწავლების მეთოდები. პროგრამა კიდევ უფრო უახლოვდება საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებს. გარდა ამისა, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 4 განსხვავებულ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), რაც სტუდენტებს აძლევს ბევრ ვარიანტს საერთაშორისო კარიერისთვის ან საერთაშორისო ტურისტებთან ურთიერთობისთვის.

თუმცა, სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი კურსის მიწოდების მოწყობის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მიმდინარე პროგრამა არ არის ლოგიკურად ორგანიზებული. მაგალითად:

- საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა არის ერთ-ერთი სარეკლამო მეთოდი, მაგრამ „საზოგადოებასთან ურთიერთობა ტურიზმში“ არის IV სემესტრში, რომელიც დაგეგმილია უფრო ადრე, ვიდრე „მარკეტინგი ტურიზმსა და სტუმართმყოფარეობაში“ (სემესტრი V).
- „რაოდენობრივი მეთოდები ბიზნესში“ კურსი დაგეგმილია VI სემესტრი, მაგრამ არ შედის სავალდებულო კურსი ბიზნესში ხარისხობრივ მეთოდებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ VI სემესტრში არსებობს კურსი სახელწოდებით „კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები“. ეს არის არჩევითი კურსი. და არის ცხრა სხვა სავალდებულო არჩევითი კურსის არჩევა მიმდინარე სასწავლო გეგმის ფარგლებში იმავე პერიოდში. შესაბამისად, სტუდენტები პოტენციურად არ აირჩევენ კურსს რაოდენობრივი მეთოდების ადრეული დასრულების გამო. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტები შეიძლება არ იყვნენ სრულად აღჭურვილი თვისებრივი კვლევის უნარებით, სანამ ისინი საბაკალავრო დისერტაციას აიღებენ სემესტრში VIII.

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება იმას, რომ პროგრამის სასწავლო გეგმა არ უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ლოგიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ, რომ გაუმჯობესდეს პროგრამის სტრუქტურა, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კურსების დაგეგმვა ლოგიკურად და საჭიროა თვისებრივი მეთოდის კურსი გახდეს სავალდებულო მანამ, სანამ სტუდენტები საბაკალავრო ნაშრომის წერას დაიწყებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- დამხმარე დოკუმენტები:
 - საგანმანათლებლო პროგრამა
 - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება N69 / ნ "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლების სფეროების კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ"
 - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №54 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შემუშავების წესი“;
 - სასწავლო პროცესის წესი;
 - მსგავსი უცხოური პროგრამები

- დამსაქმებელთა კვლევები.
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კურსების ლოგიკური დაგეგმვა და სავალდებულო გახდეს სტუდენტებისთვის თვისებრივი კვლევის მეთოდის სწავლება, ვიდრე ისინი საბაკალავრო ნაშრომზე დაიწყებენ მუშაობას.

რჩევები პროგრამის განსავითარებლად: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

პროგრამის მტკიცებულებად მოწოდებულია შესაბამისი კურსის სილაბუსები. კურსის სილაბუსები მიჰყვება სტანდარტულ შაბლონს, რომელშიც შედის კურსის სახელწოდება, კურსის კოდი, კურსის სტატუსი, ავტორ(ებ)ი, კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის, კურსის ფორმატის, წინაპირობის, შინაარსის, სწავლა-სწავლების მიხედვით. მეთოდი და შესაბამისი აქტივობები, ცოდნის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდი და კრიტერიუმები, სწავლის შედეგები, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა.

ძირითადი სასწავლო დარგის კურსების სწავლის შედეგების ანალიზი მიუთითებს, რომ ისინი ძირითადად განვითარებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. ძირითად სწავლის სფეროსთან დაკავშირებული კურსების შინაარსის მიმოხილვა მიუთითებს, რომ თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. კურსების უმეტესობას აქვს ხუთი კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომს აქვს 10 კრედიტი, მხოლოდ ოთხ კურსს აქვს ხუთ კრედიტზე ნაკლები. გამოყოფილ კრედიტებთან მიმართებაში კურსებში ჩამოთვლილი შინაარსის გათვალისწინებით, მთლიანობაში, კრედიტების რაოდენობა და მასთან დაკავშირებული საკონტაქტო საათები შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსს და

კურსის სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, კურსების საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა გონივრულია.

რაც შეეხება სხვადასხვა კურსის შეფასებას, კურსის სილაბუსებში ახსნილია კურსების შეფასების კომპონენტები, რაოდენობა, თითოეული შეფასების ქულების მაქსიმუმი, ქულების ჯამი, შეფასების პერიოდი და შეფასების კრიტერიუმები. შუალედური და საბოლოო შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია. ეს უზრუნველყოფს თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგის შეფასებას უწყვეტი გზით.

კურსის სილაბუსების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ კურსების სწავლის შედეგების ასახსნელად გამოიყენება არაერთგვაროვანი ტერმინოლოგია. მაგალითად:

- ზოგიერთი კურსი იყენებს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას (მაგ., ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის საფუძვლები, ტურისტული ბიზნესის ბიზნესი, ტურისტული რესურსები საქართველოში, სასტუმროს ოპერაციული მენეჯმენტი, რესტორნების ოპერაციული მენეჯმენტი)
- ზოგიერთი კურსი იყენებს ცოდნას, უნარებს, კომპეტენციებს (მაგ., საერთაშორისო ტურიზმი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და სტუმართმოყვარეობაში, ტრანსპორტი ტურიზმში, კულტურული ტურიზმი)
- ზოგიერთი კურსი იყენებს ცოდნას და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას (მაგ. მარკეტინგი ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის სფეროში).
- ზოგიერთი კურსი იყენებს ცოდნას და გაცნობიერებას, ცოდნის გამოყენებას, პასუხისმგებლობას და ავტონომიას (მაგ., სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის სფეროში, საზოგადოებასთან ურთიერთობა ტურიზმში)

ზემოაღნიშნული შემთხვევების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი, შესაბამისად, **რეკომენდაციას იძლევა**, რომ ტურიზმის პროგრამაში შემოწმდეს პროგრამის ყველა სილაბუსი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყველა სწავლის შედეგი კატეგორიზებულია, როგორც „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები და კომპეტენციები“ და „პასუხისმგებლობა/ავტონომია“, როგორც ეს მითითებულია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში.

პროგრამის ყველა სილაბუსი მოიცავს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალს. ზოგიერთი მოდული ეფუძნება კონკრეტულ ლიტერატურას, რომლებიც შეტანილია კურსის საქაღალდეებში. მთლიანობაში, ლიტერატურის წყაროები შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას ყველა მიუთითებს, რომ პროგრამის სილაბუსების ყოველწლიური გადახედვა ხორციელდება. თუმცა, ამ ლიტერატურის წყაროების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ კურსების უმეტესობა არ შეიცავს განახლებულ ლიტერატურას, რადგან რეკომენდებული წყაროების უმეტესობა გამოქვეყნებულია 2020 წლამდე, გარდა სამი მოდულისა (მაგ., სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმსა და სტუმართმოყვარეობაში, მსოფლიო ტურისტული მიმართულებები, კულტურული ტურიზმი). ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ პროგრამა სრულად არ ითვალისწინებს უახლეს კვლევებს ტურიზმის სფეროში და სწავლების პროცესში შეზღუდულია ახალი კვლევის შედეგებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ინტეგრირება. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის **რეკომენდაციაა** საგანმანათლებლო კურსების ძირითად და დამხმარე ლიტერატურის წყაროებში შევიდეს განახლებული ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დამხმარე დოკუმენტები;
 - საგანმანათლებლო პროგრამა
 - სილაბუსი

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება.
 - კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოსა და სასწავლო სფეროს კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ 2019 წ
 - კურიკულუმის ჯგუფი
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- ტურიზმის პროგრამაზე შემოწმდეს ყველა კურსის სილაბუსი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების ჩაშლა შემდეგ კომპონენტებად: „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები და კომპეტენციები“ და „პასუხისმგებლობა/ავტონომია“, როგორც ეს მითითებულია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში.
- საგანმანათლებლო კურსების ძირითად და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში შევიდეს უახლესი ლიტერატურული წყაროები.

რჩევები პროგრამის განსავითარებლად: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს სასწავლებელს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები პროგრამაზე დასაშვებად, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

ტურიზმის პროგრამა ავლენს, რომ დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფს სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტების მიღებას პროგრამის დასაუფლებლად და შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ იმ პირს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი საბუთი (სერთიფიკატი) ან მისი ეკვივალენტი დოკუმენტი, და რომელმაც ჩააბარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდა სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით, უფლება აქვს ჩაირიცხოს და ისწავლოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტურიზმი“.

ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების ჩამონათვალიდან ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად აბიტურიენტმა გამოცდა უნდა ჩააბაროს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში (გერმანული; ინგლისური; რუსული; ფრანგული), ისტორია/გეოგრაფია/მათემატიკაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

პროგრამაში მისაღები წინაპირობების შესახებ ინფორმაცია სამართლიანია და განთავსებულია „ეროვნული გამოცდების 2023 წლის სახელმძღვანელოში“, უნივერსიტეტის ოფიციალურ Facebook გვერდზე და საინფორმაციო შეხვედრებზე ღია კარის დღეების დროს. საჯარო ინფორმაცია ჩაირიცხვისა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და შედის ბსუ-ს ბროშურაში. თუმცა, ბსუ-ს ვებგვერდის მიმოხილვა ადასტურებს, რომ სრული ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ არ არის განთავსებული ბსუ-ს ვებ – პროგრამების კატალოგში. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ, რომ დაშვების წინაპირობების შესახებ სრული ინფორმაცია განთავსდეს ბსუ-ის ვებგვერდზე და პროგრამების კატალოგში/ბროშურაში.

უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთან კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვას ბსუ-ს საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის საფუძველზე. ასევე, ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, დამტკიცებისა და შემუშავების მეთოდოლოგიის წესის მიხედვით, დაზუსტებულია ბსუ-ში სტუდენტების კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგია; დასაქმების ბაზრის კვლევის, ბაკალავრიატის სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ- ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა. ეს მიდგომა დადასტურებული იქნა ბსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ ინტერვიუს დროს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტების მიღება/ჩაირიცხვა აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით (უმადლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და ბსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის No. 34 დადგენილებით „ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“;
- საქართველოს კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://bsu.edu.ge/sub-14/programme/2/index.html>
- „ბსუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“;
- ბსუ-ს „საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, დამტკიცებისა და შემუშავების მეთოდოლოგიის წესი“;

- ბსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის No. 34 დადგენილება „ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ“;
- „ბსუ-ს წესი შიდა მობილობის ადმინისტრირების შესახებ“;
- „ეროვნული გამოცდების სახელმძღვანელო 2023“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სრული ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ უნდა განთავსდეს ბსუ-ის ვებგვერდზე და პროგრამების კატალოგში/ბროშურაში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა	უზრუნველყოფს	სტუდენტთა	პრაქტიკული,
სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.			

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

სწავლის შედეგებისა და დონის შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ჩართვას სამეცნიერო/კვლევით პროექტებში. აღსანიშნავია, რომ კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით სწავლა-სწავლების მეთოდებში გამოიყენება როლური თამაშები, პრაქტიკული სამუშაოები, პრეზენტაციები და სხვა; გარდა ამისა, პროგრამაში პროფესიული პრაქტიკისთვის 10 ECTS კრედიტია გამოყოფილი. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუების დროს აღნიშნა, პროგრამაში გაიზარდა კრედიტები პროფესიულ პრაქტიკაზე/სტაჟირებაზე, რაც ეფუძნებოდა სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოთხოვნას. პრაქტიკის გაზრდილი კრედიტები ნიშნავს, რომ სტუდენტებს მეტი დრო აქვთ პრაქტიკული უნარებისა და ტრანსფერული უნარების განსავითარებლად.

სტუდენტი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ხელმძღვანელობით ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში მცირე კვლევით სამუშაოებს. საბაკალავრო ნაშრომი აჯამებს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსებით შეძენილ ზოგად და დარგობრივ ცოდნას, აჩვენებს არგუმენტაციის, ანალიზის, დასკვნის გამოტანის, ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებლად სწავლისა და მუშაობის უნარს. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება დაცვის კომისიის წინაშე ბსუ-ში მოქმედი შეფასების სისტემის მიხედვით, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. ექსპერტებმა შეისწავლეს

შესაბამისი საბაკალავრო ნაშრომი და დაასკვნეს, რომ ზოგიერთ მათგანში ბიბლიოგრაფიის ნაწილი უცნობი აკადემიური სტილით არის დაწერილი. თუმცა, საბაკალავრო დისერტაციის ნიმუშების მიმოხილვისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტების მიერ გამოყენებული იყო შეუსაბამო მითითების სტილი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ, სასურველია ტურიზმის პროგრამამ ასწავლოს სტუდენტებს შესატყვისი მითითების სტილის გამოყენება საბაკალავრო ნაშრომების ბიბლიოგრაფიის ნაწილში, წყაროების ციტირებისთვის.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის მიზნის (2) და სწავლის შედეგების (3-7) შესაბამისად და შეესაბამება განათლების დონეს. პრაქტიკის მიზანია ბაკალავრიატის წინა სემესტრებში შეძენილი ცოდნის, გაგებისა და უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის გამოცდა რეალურ საწარმოო პირობებში, მათ შორის სტუდენტის თვითშეფასების უნარების განვითარება. სტაჟირების კომპონენტში ჩართვის შემთხვევაში, სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. პრაქტიკას ხელმძღვანელობს ბსუ-ს წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის დროს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში, აკონტროლებს პრაქტიკის ჩატარების პროცესს. პრაქტიკის დასასრულებლად მასპინძელი დაწესებულება ნიშნავს მენტორს, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს დაწესებულებაში მყოფ სტუდენტებს.

თვითშეფასების ანგარიშს ახლავს ხელმოწერილი მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან, რომელიც მოიცავს პრაქტიკის მიზანს, საქმიანობას და შედეგებს, თუმცა პრაქტიკაში/სტაჟირებაზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობა და ხანგრძლივობა არ არის გათვალისწინებული, რაც უნდა დაზუსტდეს. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ან/და მათი დანართები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას.

პრაქტიკის დაწესებულებების წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტური პრაქტიკისა და დასაქმების პროცესში. შერჩევის პროცესში ისინი პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ კანდიდატის რეგიონალურ მიკუთვნებას. აღინიშნა, რომ ბევრი მაგალითია, როდესაც ბსუ-ს კურსდამთავრებულები მათ კომპანიებში არიან დასაქმებულები, რადგან სტუდენტები წამოაჩენენ პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, მოქნილნი არიან შრომის ბაზრის ახალი გამოწვევების მიმართ და გამოირჩევიან თავიანთი კონკურენტული უპირატესობით. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტიდან, თანდართული ფაილებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აწყობს საჯარო ლექციებს პროფილური ბიზნესის, ორგანიზაციების, ფონდების წარმომადგენლებთან.

